Solidarity Fund PL

მოთხოვნა მომსახურების შესყიდვაზე:
ტრანსპორტირების მომსახურება

FSM-2025-04-06

** ინიციატივას აფინანსებს ევროკავშირი.*

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ეძებს ტრანსპორტირების მომსახურების მომწოდებელ კომპანიას თბილისსა და საქართველოს რეგიონებში ინდივიდუალური და მცირე ჯგუფების ტრანსპორტირებისთვის სოლიდარობის ფონდის PL საველე საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოში, და სურს ითანამშრომლოს პასუხისმგებელ, პროფესიონალ და პუნქტუალურ მომსახურების მომწოდებელთან, რომელიც საიმედოობასა და ხარისხზეა ორიენტირებული ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობისას.

მოთხოვნილი მომსახურება - ტრანსპორტირების მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისსა და რეგიონებში:

1.1. ტრანსპორტირება (აეროპორტის ტრანსფერის ჩათვლით) თბილისის ფარგლებში.

1.2. ტრანსპორტირება საქართველოს მასშტაბით (რეგიონები).

1. **დავალების ხანგრძლივობა:**

მოთხოვნისამებრ 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ვადის შესაძლო გაგრძელების პირობით, რაც დამოკიდებულია მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობებზე.

2. **დავალების შესრულების ადგილ(ებ)ი**

თბილისი და საქართველოს რეგიონები

3. **მინიმალური მოთხოვნები:**

3.1. ავტომობილის ასაკი არ უნდა იყოს 12 წელზე მეტი.
3.2. ავტომობილი ხელმისაწვდომი უნდა იყოს 48 საათით ადრე გაფრთხილების შემთხვევაში და გასვლის ადგილზე მინიმუმ 10 წუთით ადრე გამგზავრების შეთანხმებულ დრომდე.
3.3. ავტომობილ(ებ)ში არ უნდა იყოს დამონტაჟებული გაზი ან ნებისმიერი ალტერნატიული საწვავი.
3.4. ავტომობილს უნდა ჰქონდეს მოქმედი ტექნიკური ინსპექტირება.
3.5. ყველა მძღოლს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 3 ან მეტი წლით მოქმედი მართვის მოწმობა.
3.6. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მინიმუმ ორი (2) სარეკომენდაციო წერილი წინა კლიენტების ან პარტნიორებისგან.

3.7 მომსახურების გაწევამდე ყველა ავტომობილი სუფთა უნდა იყოს.

3.8 ყველა ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს გამართული ღვედით მძღოლისა და თითოეული მგზავრისთვის.

** შეთავაზებები, იმ მომსახურების მომწოდებლებისგან, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მინიმალურ მოთხოვნებს, ფორმალურ საფუძველზე გამოეთიშება ტენდერს.*

** ავტომობილ(ებ)ის მდგომარეობის შემოწმება შესაძლებელი უნდა იყოს, თუ ასეთი მოთხოვნა იქნება წარმოდგენილი დამკვეთის მიერ.*

4. შემდეგი ეტაპისთვის განმცხადებელთა შერჩევის კრიტერიუმები (მაქს. 100 ქულა).

4.1. გამოშვების წელი (15 ქულა)
4.1.ა – ავტომობილ(ებ)ის ასაკი არ აღემატება 5 წელს (გამოშვებიდან) - 15 ქულა
4.1.ბ – ავტომობილ(ებ)ის ასაკი არის 6-დან 8 წლამდე (გამოშვებიდან) - 10 ქულა
4.1.გ – ავტომობილ(ებ)ის ასაკი არის 6-დან 12 წლამდე (გამოშვებიდან) - 5 ქულა
4.1.დ – ავტომობილ(ებ)ის ასაკი აღემატება 12 წელს (გამოშვებიდან) - 0 ქულა

4.2 სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოში-ის მოთხოვნის შემთხვევაში სხვადასხვა ტიპის ავტომობილების უზრუნველყოფის შესაძლებლობა (10 ქულა)
4.2.ა – განმცხადებელს შეუძლია სედანების, სპორტული უნივერსალის (SUV), მინივენის და მინიბასის უზრუნველყოფა და მათი დავალების შესაბამისად გამოყოფა - 10 ქულა
4.2.ბ – განმცხადებელს შეუძლია უზრუნველყოს სედანის და დამატებით ორი ტიპის ავტომობილი (მაგ. სპორტული უნივერსალი (SUV) და მინივენი ან სპორტული უნივერსალი (SUV) და მინიავტობუსი) - 8 ქულა
4.2.გ – განმცხადებელს შეუძლია უზრუნველყოს სედანის და დამატებით ერთი ტიპის ავტომობილი (მაგ. სპორტული უნივერსალი (SUV), მინივენი ან მინიბასი) - 6 ქულა
4.2.d – განმცხადებელს შეუძლია უზრუნველყოს მხოლოდ სედანის ტიპის ავტომობილები - 4 ქულა

4.2.e - განმცხადებელს არ შეუძლია სხვადასხვა ტიპის ავტომობილების უზრუნველყოფა - 0 ქულა

4.3.მექანიკური გაუმართაობის შემთხვევაში კომპანიას რეაგირების და ავტომობილის გამოცვლის ყველაზე სწრაფი დრო (15 ქულა)
4.3.ა – განმცხადებელს შეუძლია ავტომობილის შეცვლა 30 წუთში - 15 ქულა
4.3.ბ – განმცხადებელს შეუძლია ავტომობილის შეცვლა 60 წუთში - 10 ქულა
4.3.გ – განმცხადებელს შეუძლია ავტომობილის შეცვლა 120 წუთში - 5 ქულა
4.4.დ - განმცხადებელს შეუძლია ავტომობილის შეცვლა 120 წუთზე მეტ დროში - 0 ქულა

4.4. ფასი (60 ქულა)

შეფასება კრიტერიუმით „ფასი“ ეფუძნება შემდეგ ფორმულას თითოეული კატეგორიისთვის:

P= Pmin/Pof x 60 ქულა

სადაც:

Pmin - ყველაზე დაბალი შემოთავაზებული ფასი

Pof – ფასი წარმოდგენილია შემოწმებულ შეთავაზებაში

P – ფასის კრიტერიუმით შემოწმებულ შეთავაზებაზე მინიჭებული ქულების რაოდენობა, დამრგვალებული სრულ რიცხვამდე.

*ფასის და სხვა კრიტერიუმების წონის შედარება (პუნქტები 4.1, 4.2, 4.3) არის 60%

5. ინფორმაცია ფასის შესახებ:

5.1. ფასი მითითებული უნდა იყოს ლარში. ფასი მითითებული უნდა იყოს შემდეგ მნიშვნელობებში:

ა) 1კმ/ტარიფი თბილისში.

ბ) 1კმ/ტარიფი საქართველოს რეგიონებში

გ) ფიქსირებული ფასი აეროპორტის ტრანსფერზე ერთი მიმართულებით

5.2. ფასის შეთავაზება უნდა მოიცავდეს დამკვეთის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს კონტრაქტორის მიერ მოწოდებული მომსახურების ფარგლებში (გადასახადები, სავალდებულო სოციალური დაცვა, ჯანმრთელობისა და საპენსიო შენატანები), აგრეთვე საქართველოში განთავსების, კვების, დაზღვევის, ადგილობრივი მგზავრობის ხარჯები (თუ დამკვეთის მიერ არ არის შეკვეთილი ცალკე) კომპიუტერულ ტექნიკის, მობილური კომუნიკაციის, პროგრამული უზრუნველყოფის (სიტყვაპროცესორი / ცხრილები/ power point) ხარჯებს.

5.3. ანგარიშსწორება დამკვეთსა და კონტრაქტორს შორის განხორციელდება ლარში (GEL) საგადასახადო მიზნებისთვის კონტრაქტორის რეგისტრაციის ადგილისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ევროს მიმდინარე კურსის მიხედვით.

6. მოთხოვნილი დოკუმენტაცია

6.1. ქართულ და ინგლისურ ენებზე შევსებული, ხელმოწერილი და PDF ფორმატში სკანირებული **ფისკალური განაცხადი.** ჩამოტვირთეთ აქ.

6.2. ქართულ ან ინგლისურ ენებზე შევსებული, ხელმოწერილი და PDF ფორმატში სკანირებული **განაცხადის ფორმა.** ჩამოტვირთეთ აქ.

7. წარდგენა

განაცხადი უნდა გამოიგზავნოს არაუგვიანეს 2025 წლის 4 მაისის 23:59 საათამდე, თბილისის დროით შემდეგ ელფოსტის მისამართზე: redi@solidarityfund.pl

8. პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელფოსტაზე და გამოქვეყნდება სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ოფიციალურ ვებგვერდზე - https://participatoryhub.ge/.

9. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის წარდგენით თანხმობას აცხადებთ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება), რომელთაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა SFPL -ში.

10. სოლიდარობის ფონდი PL უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და თანასწორუფლებიან მოპყრობას დასაქმების პროცესში რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

11. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადებში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათავო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, ქუჩა Mysłowicka 4, 01-612 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება პოლონეთის პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მე-6 მუხლის 1g პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოსთხოვოთ ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. მონაცემთა მაკონტროლებელი არის სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში, ჭავჭავაძის გამზირი 20, ბინა #3, სართული 2, 0179 თბილისი, საქართველო. თქვენი უფლებებით სარგებლობისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ SFPL-ს საქართველოში პირდაპირ მისამართზე georgiarep@solidarityfund.pl – ჩვენ მზად ვართ დავიცვათ თქვენი უფლებები ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში.